# 2024 წლის ბიუჯეტი

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

# საქართველოს საერთაშორისო რეიტინგები



**ღია ბიუჯეტი**

**#1**

**IBP ინდექსი**

**Doing Business**

**#7**

მსოფლიო ბანკის კვლევა

**საგადასახადო პოლიტიკა და FTAS**

**0%**

| სარეიტინგო კომპანია | რეიტინგი | პერსპექტივა | დადასტურებულია |
|---|---|---|---|
| Moody's | Ba2 | ნეგატიური | დეკ. 2022 |
| S&P Global | BB | სტაბილური | აგვ. 2023 |
| Fitch Ratings | BB | პოზიტიური | ივლ. 2023 |

# მსოფლიო ბანკის მმართველობის ინდიკატორები




**მსოფლიო ბანკის მმართველობის ინდიკატორების მიხედვით საქართველო უსწრებს:**

| | ევროკავშირის 27 ქვეყნიდან | EU კანდიდატი 8 ქვეყნიდან |
|---|---|---|
| რეგულირების ხარისხი | 13 | 8 |
| კორუფციის კონტროლი | 10 | 8 |
| მთავრობის ეფექტურობა | 8 | 8 |
| კანონის უზენაესობა | 1 | 8 |

# ერთ სულზე შემოსავლების დონით საქართველო ახლოსაა EU-ს ახალი წევრების მაჩვენებელთან

**საქართველოს მშპ ერთ სულ მოსახლეზე**

*საერთაშორისო დოლარი*

*ევროკავშირის საშუალოსთან ფარდობა*




**ევროკავშირის ახალი წევრები**

| | გაწევრიანების წელი | ფარდობა გაწევრიანების მომენტში |
|---|---|---|
| ბულგარეთი | 2007 | 41% |
| ხორვატია | 2013 | 76% |
| ჩეხეთი | 2004 | 65% |
| ესტონეთი | 2004 | 67% |
| უნგრეთი | 2004 | 49% |
| ლატვია | 2004 | 53% |
| ლიეტუვა | 2004 | 52% |
| პოლონეთი | 2004 | 44% |
| რუმინეთი | 2007 | 50% |

# მაკრო-ფისკალური ინდიკატორების შედარება ევროკავშირის წევრ და კანდიდატ ქვეყნებთან




*შედარებულია ევროკავშირის წევრი და კანდიდატი ქვეყნების მონაცემები. #-ით აღნიშნულია რეიტინგი. დალაგებულია უკეთესიდან უარესისკენ;*
*ეკონომიკური ზრდა, მთავრობის ვალი, ბიუჯეტის დეფიციტი: 2023 წლის საპროგნოზო მაჩვენებელი, წყარო: IMF;*
*ინფლაცია: სამომხმარებლო ფასების ჰარმონიზებული ინდექსი, სექტემბერი 2023; წყარო: Eurostat;*
*საქართველოს მონაცემების წყარო: საქსტატი, ფინანსთა სამინისტრო.*

# ევროკავშირის (EU) რეგულაციებთან შემდგომი ჰარმონიზება და მიმდინარე რეფორმები




- მზადდება **ეკონომიკური რეფორმების გეგმის (ERP)** პირველი დოკუმენტი;
- მიმდინარეობს მუშაობა ევროკავშირის ESA 2010 აღრიცხვის სტანდარტთან საქართველოში მოქმედი IMF-ის GFSM 2014-ის აღრიცხვის დაკავშირებაზე;
- გრძელდება მუშაობა საჯარო ფინანსების მართვაში **კლიმატის, გენდერის, SDG მიზნების და სხვა სექტორთაშორისი ინდიკატორების** უკეთესი ინტეგრირებისთვის;
- გრძელდება მუშაობა **საინვესტიციო პროექტების მართვის** რეფორმაზე;
- მიმდინარეობს მუშაობა **შიდა ფინანსური მართვის და კონტროლის რეფორმაზე;**
- წარმატებით გრძელდება მუშაობა **საგადასახადო სისტემის** ევროკავშირის რეგულაციებთან სრულყოფილი ჰარმონიზების მიზნით;
- მიმდინარეობს მუშაობა **ფისკალური ინსტიტუტების** შემდგომი გაძლიერების მიზნით;
- უზრუნველყოფილია **მდგრადი მაკრო-ფისკალური პარამეტრები და ფისკალური დისციპლინა.**

# მაღალი და სტაბილური ეკონომიკური ზრდა






# რეკორდულად დაბალი მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი – დანაზოგების აღდგენა

## მიმდინარე ანგარიშის ბალანსი




## ინვესტიციები და მისი დაფინანსება



# საგარეო სექტორის სწრაფი აღდგენა, დივერსიფიცირებული ტურიზმი

ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების აღდგენა 2019=100




ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები (მლნ აშშ დოლარი)



# ინფლაცია დაუბრუნდა მიზნობრივ მაჩვენებელს

ინფლაციის დეკომპოზიცია პროდუქტების ჯგუფების მიხედვით




- ბოლო წლების ინფლაცია ძირითადად მსოფლიო ბაზარზე სურსათის და ნავთობპროდუქტების ფასების ზრდით იყო განპირობებული;

- 2023 წლის ინფლაციის შემცირებაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა მედიკამენტებზე ფასების კლებამ, რაც თურქეთის ბაზრის გახსნის და რეფერენტული ფასების მექანიზმის შემოღების შედეგია.

# წარმატებული ფისკალური კონსოლიდაცია - მაკროეკონომიკური სტაბილურობის გარანტი

## ბიუჯეტის დეფიციტი




## მთავრობის მთლიანი ვალი




## ვალის მართვის სტრატეგია

- მთავრობის ვალი დაუბრუნდა და ჩამოცდა პანდემიამდელ დონეს;
- ვალის დოლარიზაცია შემცირდა 72 პროცენტამდე. პანდემიამდე იყო 80 პროცენტზე მეტი. სამიზნე მაჩვენებელი საშუალოვადიან პერიოდში არის 65 პროცენტი;
- წლიდან წლამდე იზრდება გამოშვებები ადგილობრივ ბაზარზე, რაც ბაზრის განვითარებისთვის მთავარი წინაპირობაა:
  - იზრდება ლიკვიდურობა
  - მიმდინარეობს პორტფელის მზადება საერთაშორისო ინდექსისათვის.

# ნაერთი ბიუჯეტის რესურსი - 2024 წელი




- **გრძელდება ფისკალური კონსოლიდაცია - ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტი დაგეგმილია მშპ-ს 2,5%-ის ფარგლებში;**
- **დეფიციტის ნომინალური მაჩვენებელი 2,1 მილიარდ ლარს შეადგენს;**
- **ნაერთი ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი შეადგენს 28,5 მილიარდ ლარს;**

# ნაერთი ბიუჯეტის გადასახადები - 21 942 მლნ ლარი

**საგადასახადო შემოსავლები**







- **2020 წელთან შედარებით საგადასახადო შემოსავლები გაორმაგებულია;**
- **2024 წელს ნაერთი ბიუჯეტის გადასახადები - 21 მილიარდ 942 მილიონი ლარი;**
- **ბიუჯეტში გათვალისწინებულია დამატებითი საგადასახადო შემოსავლები საფინანსო სექტორიდან და სათამაშო ბიზნესიდან;**

# ბიუჯეტის დეფიციტის კომპონენტები

2 142,0 მლნ ლარი






# ძირითადი მიმართულებების დაფინანსება




- **2024 წელს ნაერთი ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის რესურსი - 28,5 მილიარდი ლარი;**
  - 8,6 მილიარდ ლარზე მეტი, არსებული რესურსის 30% - სოციალური და ჯანდაცვის პროგრამები;
  - 4,8 მილიარდი ლარი, რესურსის 17% - ინფრასტრუქტურული პროექტები
    - ✓ *გარდა იმ სექტორების ინფრასტრუქტურისა, რომელიც გრაფიკზე ცალკეა წარმოდგენილი;*
    - ✓ *ჯამში ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზე მიიმართება 6,9 მლრდ ლარზე მეტი;*
  - 3,6 მილიარდი ლარი, რესურსის 13% - განათლება და მეცნიერება;
  - 2,9 მილიარდ ლარზე მეტი, რესურსის 10% - თავდაცვა და უსაფრთხოება;
  - 2,9 მილიარდ ლარზე მეტი, რესურსის 10% - ვალების მომსახურება და დაფარვა

# სოციალური დაცვის პროგრამები - 6 460 მლნ ლარი

**2024 წელს სოციალური დაცვის პროგრამების დაფინანსება იზრდება 714 მლნ ლარით და 6 460 მლნ ლარს შეადგენს:**






# პენსიები და კომპენსაციები - 3 930 მლნ ლარი






# პენსიები და კომპენსაციები - 3 930 მლნ ლარი

**სახელმწიფო კომპენსაციის მაქსიმალური ზღვარი**

2005-2023წწ.
560 ლარი

440 ლარი (78%)

2024წ.
1000 ლარი

**სამხედრო მოქმედებებში და კრიმინალთან ბრძოლის დროს დაღუპულთა ოჯახის კომპენსაციები**

2015-2023წწ.
1000 ლარი

200 ლარი (20%)

2024წ.
1200 ლარი

**იზრდება პოლიციელებისა და ჯარისკაცების ნამსახურების თითოეულ წელზე გათვლილი თანხის ოდენობა**

- უმცროს სპეციალურ წოდებაზე (გარდა ოფიცრისა): 2-დან 5 ლარამდე
- უმცროსი ოფიცრის წოდებაზე: 5-დან 10 ლარამდე;
- უფროსი ოფიცრის წოდებაზე: 10-დან 15 ლარამდე;
- უმაღლესი ოფიცრის წოდებაზე: 15-დან 25 ლარამდე;

**შედეგად იზრდება პოლიციელებისა და ჯარისკაცების კომპენსაციის საშუალო მოცულობა**

430 ლარი

150 ლარი (35%)

580 ლარი

# მიზნობრივი ჯგუფების სოც. დახმარებები - 1 519 მლნ ლარი




**საყოფაცხოვრებო სუბსიდიების ზრდა**

| | | |
|---|---|---|
| 7 ლარი | 33 ლარი → | 40 ლარი |
| 22 ლარი | 38 ლარი → | 60 ლარი |
| 44 ლარი | 36 ლარი → | 80 ლარი |

**შშმ პირთა დახმარებები**




**ზრდა - 50 ლარი**

**ზრდა - 20 ლარი**

**სოც. დაუცველი ბავშვების დახმარებები**



# ჯანდაცვის პროგრამები - 1 802 მლნ ლარი







**2024 წელს ჯანდაცვის პროგრამებზე გამოყოფილია 1 802 მლნ ლარი, რომლის ფარგლებში:**

- საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა - 1 035 მლნ ლარი;
  - ✓ *გაფართოვდება ქრონიკული დაავადებების პროგრამა და პენსიონერები მთელი წლის განმავლობაში უზრუნველყოფილი იქნებიან ყველა ქრონიკული დაავადებისთვის საჭირო მედიკამენტებით;*
  - ✓ *დაიწყება ონკოლოგიური დაავადებების ადრეული დიაგნოსტიკის მიზნით მაღალტექნოლოგიური კვლევების დაფინანსება;*
  - ✓ *მწარმოებლებთან მიღწეული შეთანხმებით მიღებული ეკონომიის ხარჯზე, შესაძლებელი გახდება გამოყოფილი ლიმიტების ფარგლებში ონკოლოგიური მკურნალობის სრული კურსის დაფინანსება;*
- განხორციელდება სასწრაფოს პერსონალის ხელფასების 10%-იანი ზრდა;
- სოფლის ექიმების/ექთნების ანაზღაურების 100 ლარით ზრდა;
- განხორციელდება 100-მდე სოფლის ამბულატორიის რეაბილიტაცია

# დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფა

**დევნილთა სახლებით უზრუნველყოფა**










- 2023 წელს დაიწყო, 7 ათას ბინაზე გათვლილი, დევნილთა საცხოვრებელი კომპლექსების მშენებლობა - პროგრამის ბიუჯეტი გაორმაგდა;
- გარდა ამისა, გრძელდება „სოფლად სახლის" პროგრამის ფარგლებში იძულებით გადაადგილებული ოჯახებისთვის სახლების შესყიდვა;
- სამი წლის განმავლობაში დაგეგმილია 13 ათასი დევნილი ოჯახის საცხოვრებლის მშენებლობა / შესყიდვა;
- 2024 წელს ამ მიზნით გამოყოფილია 235,0 მლნ ლარი;
- ეკომიგრანტთა მხარდაჭერის მიზნით გამოყოფილია 8,0 მლნ ლარი.

# განათლება და მეცნიერება - 3 550 მლნ ლარი

**2024 წელს განათლებისა და მეცნიერების დაფინანსება იზრდება 600 მლნ ლარზე მეტით და 3 550 მლნ ლარს შეადგენს:**






# სკოლამდელი და ზოგადი განათლება - 2 070 მლნ ლარი







- 2024-2025 წელს სრულ განაკვეთზე დასაქმებულ მასწავლებელთა საშუალო ანაზღაურება გაიზრდება 500 ლარით;
- 10 დან 20 პროცენტამდე გაიზრდება სკოლების ადმინისტრაციული პერსონალის და მანდატურის ხელფასები;
- გათვალისწინებულია ფსიქოლოგების რაოდენობისა და მათი ხელფასების ზრდა;
- საბავშვო ბაღების პერსონალისთვის გათვალისწინებულია ხელფასების 100 ლარით ზრდა

# საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურა - 790 მლნ ლარი




**საჯარო სკოლების მშენებლობა / რეაბილიტაცია**










- 2023 წელს დაიწყო სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაციის მასშტაბური პროექტი და პროგრამის ბიუჯეტი გაიზარდა 86%-ით;

- ამ ეტაპზე, მიმდინარეობს 400-ზე მეტის სკოლის მშენებლობა / რეაბილიტაციის პროცესი და მომდევნო წლებში დაგეგმილია დამატებით 400 სკოლის მშენებლობა / რეაბილიტაცია;

- პროგრამის დაფინანსება 2024 წელს იზრდება 133 მლნ ლარით და 451 მლნ ლარს შეადგენს;

- საბავშვო ბაღების მშენებლობა / რეაბილიტაციაზე მიიმართება 267 მლნ ლარი.





# კულტურა და სპორტი - 950 მლნ ლარი




**სამინისტროს ბიუჯეტში გათვალისწინებულია კულტურის ორგანიზაციებში დასაქმებულთა ხელფასების 10%-იანი ზრდა**

### კულტურის დაფინანსება - 407 მლნ ლარი




### სპორტის დაფინანსება - 543 მლნ ლარი



# გარემოს დაცვა - 650 მლნ ლარი







- გარემოსდაცვითი პროგრამების დაფინანსებას ბოლო წლებში მზარდი ტენდენცია აქვს და 2024 წელს 640 მლნ ლარს შეადგენს;
- გარემოს ეროვნული სააგენტოს საბიუჯეტო დაფინანსება 2024 წელს 3-ჯერ იზრდება;
- ადრეული გაფრთხილებისა და პრევენციის შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით დაგეგმილია:
  - ➢ დამატებითი მეტეოროლოგიური სადგურების შეძენა-მონტაჟი;
  - ➢ მყინვარულ ხეობებში შესაძლო ჰიდრომეტეოროლოგიური და გეოლოგიური საფრთხეების დეტალური შეფასება;
  - ➢ ქვეყნის მასშტაბით მსხვილი მეწყრული უბნების გეოლოგიური კვლევა და თანამედროვე მონიტორინგის სისტემის ინსტალირება.

# სოფლის მეურნეობა - 579 მლნ ლარი



# ეკონომიკის სხვა სექტორები

**მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობა - 300 მლნ ლარი**

- მწარმოებლური სექტორის სესხების სუბსიდირება - 210 მლნ ლარი
- საკრედიტო საგარანტიო სქემა - 50 მლნ ლარი
- მცირე გრანტების პროგრამა - 25 მლნ ლარი;
- სხვა დანარჩენი პროგრამები - 15 მლნ ლარი

სივრცითი დაგეგმარება - 14 მლნ ლარი

ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობა - 120 მლნ ლარი

**ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარება - 81 მლნ ლარი**

- სოფლების ინტერნეტიზაციის პროექტი- 53 მლნ ლარი
- IT სპეციალისტების გადამზადება და ინოვაციური სტარტაპების დაფინანსება - 25 მლნ ლარი
- სხვა დანარჩენი პროგრამები - 3 მლნ ლარი;

**ტურიზმის ხელშეწყობა - 236 მლნ ლარი**

- ტურიზმის მარკეტინგი - 33 მლნ ლარი
- შიდა ფრენების სუბსიდირება- 12 მლნ ლარი
- ტურისტული ინფრასტრუქტურა- 191 მლნ ლარი;

# ტურისტული ინფრასტრუქტურა - 191 მლნ ლარი

- 2023 წელს ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით ახალი 5-წლიანი პროგრამა დაიწყო;

- პროგრამა მოიცავს მუნიციპალიტეტებში ცენტრალური უბნების განახლებას, ტურისტულად მიმზიდველი სივრცეების შექმნას და განვითარებას;

- პროგრამის ბიუჯეტი ჯამში შეადგენს 1 მილიარდ ლარს;

- 2024 წელს პროგრამის დაფინანსება შეადგენს 161 მილიონ ლარს;

- ამ ეტაპისთვის, პროექტები დაწყებულია - ბორჯომის, ქუთაისის, წყალტუბოს, თელავის, ბათუმის, მესტიის, მცხეთის, ზუგდიდისა  და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებში.




- 2023 წელს დაიწყო და 2024 წელს დასრულდება გუდაურში ახალი საბაგირო გზის მშენებლობა;

- 2024 წელს ექსპლუატაციაში შევა 2 ახალი 2,2 კმ-იანი საბაგირო, რომელიც დაკავშირებული იქნება ყველა სხვა საბაგიროსთან და დღიურად მოემსახურება 19 ათასამდე მგზავრს;

- პროექტის ჯამური ღირებულება 66 მლნ ლარს შეადგენს, 2024 წელს გამოყოფილია 30 მლნ ლარი.

# ანაკლიის პორტი და აეროპორტები

## ანაკლიის პორტი - 50 მლნ ლარი



- **ანაკლიის პორტის ინფრასტრუქტურა ჯამში სამი კომპონენტისგან შედგება**:
  1. **ე.წ. წყლის ინფრასტრუქტურა** (დაღრმავება, ტალღმჭრელები და სხვა), რომლის მშენებლობა დაგეგმილია სახელმწიფოს მიერ და 2024 წელს ამ მიზნით, გამოყოფილია 50,0 მლნ ლარი;

  2. **უშუალოდ პორტის ინფრასტრუქტურა** - აღნიშნულთან დაკავშირებით გამოცხადებულია საერთაშორისო კონკურსი. 2024 წელს გამარჯვებულ კომპანიასთან მოლაპარაკებების შედეგად, შეთანხმდება მშენებლობაში სახელმწიფოს ინვესტიციის ზუსტი მოცულობა და გრაფიკი;

  3. **მაგისტრალი და რკინიგზა** - მშენებლობა დაიწყება ინვესტორის მიერ პორტის მშენებლობის დაწყების შემდგომ;

## აეროპორტები - 67 მლნ ლარი

**2024 წელს დაიწყება ქუთაისის აეროპორტის ასაფრენ-დასაფრენი ბილიკის მშენებლობა;**

**დასრულდება თელავის აეროპორტის რეკონსტრუქცია**

**განხორციელდება თბილისის ახალი აეროპორტის ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა და დაიწყება დეტალური პროექტის მომზადება**

# საგზაო ინფრასტრუქტურა - 1 934 მლნ ლარი









**2024 წელს დასრულდება - 135 კმ ალმ-დას. მაგისტრალის მშენებლობა**

- ზემო ოსიაური-ჩუმათელეთი 6,4 კმ (მეორე ლოტი-F0)
- რიკოთის პირველი მონაკვეთი (F1) – 11,7 კმ
- რიკოთის მეოთხე მონაკვეთი (F4) – 14,7 კმ
- გრიგოლეთი-ქობულეთის გზა - 14,5 კმ
- სამტრედია-გრიგოლეთის მონაკვეთი - 23 კმ;
- ბათუმის შემოვლითი გზა -13 კმ
- თბილისი-საგარეჯოს მონაკვეთი -35 კმ
- ბაკურციხე-წნორის მონაკვეთი - 16,6 კმ

- **მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოები იქნება 900 კმ-მდე გზაზე;**

- **დასრულდება 400 კმ-ზე მეტი გზის რეაბილიტაცია;**

# წყალმომარაგებისა და წყალარინების პროექტები

**წყალმომარაგება და წყალარინება**




**2024 წელს წყალმომარაგებისა და წყალარინების პროექტებზე მიიმართება 582 მლნ ლარი**

**წყალმომარაგების სამუშაოები მიმდინარეობს 22 ქალაქში**

**2024 წელს 24 საათიანი წყალმომარაგება ექნება დამატებით 5 ქალაქს**

# მუნიციპალური ინფრასტრუქტურა

**მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია - 1 725 მლნ ლარი**

**სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული პროექტები - 1 275 მლნ ლარი**

- რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი - 450 მლნ ლარი
- თბილისის კაპიტალური პროექტების დაფინანსება - 539 მლნ ლარი
- მუნიციპალური განვითარების ფონდის პროექტები - 266 მლნ ლარი
- მაღალმთიანი დასახლებების ფონდი - 20 მლნ ლარი

**მუნიციპალიტეტების საკუთარი შემოსავლებიდან დაფინანსებული პროექტები - 450,0 მლნ ლარი**

# თავდაცვა და უსაფრთხოება - 2 952 მლნ ლარი










- თავდაცვისა და უსაფრთხოების დაფინანსება იზრდება 273 მლნ ლარით და 2 952 მლნ ლარს შეადგენს;
- გაზრდილი დაფინანსების ფარგლებში განხორციელდება ჯარისკაცებისა და პოლიციელების ხელფასების 10%-იანი ზრდა;
- ბოლო 3 წლის განმავლობაში ჯარისკაცებისა და პოლიციელების ხელფასების ზრდამ 45% შეადგინა;
- 2024 წელს დაგეგმილია დამატებით 30 სახანძრო მანქანის შესყიდვა.

# 2024 წლის ძირითადი ეკონომიკური პარამეტრები

| დასახელება | 2024 წლის მაჩვენებელი |
|---|---|
| რეალური ეკონომიკური ზრდა | 5,2% |
| მშპ-ს დეფლატორი | 3,0% |
| საშუალო წლიური ინფლაცია | 2,8% |
| ნომინალური მშპ (მლნ ლარი) | 85 370,7 |
| ნომინალური მშპ (მლნ დოლარი) | 31 618,8 |
| მშპ ერთ სულ მოსახლეზე (დოლარი) | 8 571,9 |
| ბიუჯეტის დეფიციტი %-ად მშპ-სთან | 2,5% |
| მთავრობის ვალი %-ად მშპ-სთან | 38,2% |
| ნაერთი ბიუჯეტის გადასახადები (მლნ ლარი) | 21 942,0 |
| ნაერთი ბიუჯეტის კაპიტალური ხარჯები (მლნ ლარი) | 6 935,0 |

მადლობა ყურადღებისთვის!